საბანკო სექტორი - I - III კვარტალი, 2016

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #86 / 11.01.2017

2016 წლის იანვარი-ნოემბრის მდგომარეობით, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით:

• კომერციული ბანკების წმინდა მოგება გაზრდილია 25.1%-ით (114 მლნ. ლარი) და 567 მლნ. ლარს შეადგენს;
• გაზრდილია როგორც დეპოზიტების (9.4%), ასევე ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა (7.9%) (კორექტირებული გაცვლითი კურსის გათვალისწინებით);
• გაზრდილია მშენებლობის (2.8 პროცენტული პუქტით), ფინანსური შუამავლობისა (2.5 პროცენტული პუნქტსა) და სასტუმროებისა და რესტორნების (3.0%) წილი მთლიან სესხებში.
• უმოქმედო სესხებისმოცულობა გაზრდილია 9.5%-ით, თუმცა აღნიშნული ზრდა მეტწილად ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებით არის გამოწვეული.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი წარმოდგენილია 16 ბანკით. "თი ბი სი ბანკი" - სა და ბანკი რესპუბლიკას გაერთიანების შემდეგ, საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 68% მოდის ორ უმსხვილეს ბანკზე: "თი ბი სი ბანკი" (35%) და "საქართველოს ბანკი" (33%). უმსხვილეს ბანკებში ასევე შედის ლიბერთი ბანკი 6%-ანი წილით და "ვი თი ბი ბანკი" 5%-ით.

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მთლიანმა წმინდა მოგებამ 567 მლნ. ლარი შეადგინა რაც 25.1% - ით (114 მლნ. ლარი) აღემატება 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ გაზრდილია კომერციული ბანკების პროცენტული შემოსავლები (8.0%, 159 მლნ. ლარი) და ხარჯები (8.9%, 75 მლნ. ლარი), ხოლო მნიშვნელოვნადაა შემცირებული არაპროცენტული შემოსავლები (-28.9%, -337 მლნ. ლარი) და ხარჯები (-24.5%, -337 მლნ. ლარი). არასაპროცენტო ხარჯებისა და შემოსავლების შემცირება უმეტესად, ვალუტის კურსის გათვალისწინებით, სესხებისა და დეპოზიტების გადაფასების შედეგია.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების დეპოზიტების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (9.4%)[1]. გაზრდილია როგორც ეროვნული ვალუტით (6.2%), ასევე უცხოური ვალუტით (10.9%) დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა.

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების სესხების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (7.9%)[2]. გაზრდილია როგორც ეროვნული ვალუტით (9.2%), ასევე უცხოური ვალუტით (7.2%) დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა.

1. უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების შემთხვევაში მოხდა კორექტირება გაცვლითი კურსის გათვალისწინებით. საბაზისო წელი - წინა წლის შესაბამისი პერიოდი.

2. უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების შემთხვევაში მოხდა კორექტირება გაცვლითი კურსის გათვალისწინებით. საბაზისო წელი - წინა წლის შესაბამისი პერიოდი.

ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შედარებით დიდი მერყეობით ხასიათდება. 2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა შემცირებულია (0.4 პროცენტული პუნქტი) და 9.3 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 18.1%-ს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 8.8%-ს შეადგენს.

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-3.1 პროცენტული პუნქტი) და 4.4 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 7.8%-ს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 3.4%-ს შეადგენს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების სტრუქტურა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. შემცირებულია ვაჭრობისა (-1.6 პროცენტული პუქტით) და მრეწველობის (-2.2 პროცენტული პუნქტი) წილი მთლიან სესხებში, ხოლო მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მშენებლობის (2.8 პროცენტული პუქტით), ფინანსური შუამავლობისა (2.5 პროცენტული პუნქტსა) და სასტუმროებისა და რესტორნების (3.0%) წილი მთლიან სესხებში.

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, უმოქმედო სესხების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (9.5%, 119 მლნ. ლარი), თუმცა უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში შემცირებულია (-0.3 პროცენტული პუნქტით) და 7.7%-ს შეადგენს, რაც მეტწილად ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებით აიხსნება. აღნიშნულ პერიოდში სპეციალური რეზერვები ფარავს უმოქმედო სესხების 51%-ს.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2014	I 2015	II 2015	III 2015	IV 2015	2015	I 2016	II 2016	III 2016
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16528.5	3325.0*	3407.6*	3545.0*	6682.3*	13959.9*	3018.8*	3642.6*	3767.3*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3680.8	884.5*	913.4*	950.5*	994.7*	3743.1*	811.4*	979.1*	1012.6*
მშპ-ს რეალური ზრდა	4.8%	3.2%*	2.5%*	2.5%*	2.9%*	2.8%*	2.6%*	3.0%*	2.3*
ინფლაცია	3.1%					4.0%			
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*	267.9*	1 351.1*	388.6*	445.3	463.3*
უმუშევრობის დონე	12.4%					12%			
სამთავრობო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4200	3989	4181	4195	4315	4315	4396	4404	4461
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%					20.1%			

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საპროგნოზო*